№ 29 27 ივლისი 1873 27 ივლისი № 29

გაზეთის ფასი

	გაგზავნით:	გაუგზავნ.
ერთის წლისა	— 6 მ. კაპ.	5 მან. კაპ.
ნახევარის წლისა	— 3 „ „	2 „ 50
სამის თვისა	— 1 „ 75	1 „ 50
ერთის თვისა	— „ „ 60	„ „ 50
ცალკე ნომრისა	— „ „ 12	„ „ 10

განცხადებანი, „დროებაში„

დასაბეჭდათ, მიიღება სხვა-და-სხვა ენებზე. ფასი განცხადებისა ჩვეულებრივის ასოებით, სტრიქონზე 4 კაპ. და ასო-მთავრულებით — ასოზე 1/4 კაპ.

ლ დ რ ო ე ბ ა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მერვე

ხელის-მოწერა-ირითება

მიიღება თფილისში: „დროების„ რედაქციის კანტორაში, სოლოლაკზე, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

ჭუთაისში: ბერასიმე ქალანდარაშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და სვ. მესხთან.

ბარემ მცხოვრებთა შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება:

Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты „ДРОЭБА“.

ზამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

შ ი ნ ა ა რ ს ი

რედაქციისაგან — საქართველო: ჭუთაისის ბანკის საქმე: „დროებას“ (ბ. ღოღობერიძისა) — ბ. ღოღობერიძის „ტიტინი“ (ნ. სკანდელისა) — იხე! (აკ. წერეთლისა) — „დროების“ კორრესპონდენცია: ოზურგეთიდამ — ნარევი: სპარსეთის შაჰი პარიჟში (დ. მიქელაძისა) — სომხეთი საქართველოში („მშაკიდგან“)

რედაქციისაგან

ბოდიშს ვიხდით ჩვენ მკითხველებთან, რომ ეს ორი ნომერი ჭუთაისის ბანკის თაობაზე პოლემიკას მოვანდომეთ, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთვის ეს საქმე მეტის მეტათ მძიმეა და ღირს ყოველის ღონისძიებით მასზე საზოგადოების ყურადღების მიქცევა. შემდეგი ნომრიდამ კი „დროებას“ ისევ გაზეთის ხასიათი მიეცემა.

საქართველო

ჭუთაისის ბანკის საქმე

„დ რ ო ე ბ ა ს“

28 ნომრის წაკითხვის შემდეგ, რაც უ. ნიკოლაძესთან სათქმელი მქონდა, „დროებას“ იმაზედ ორიოდე სიტყვას მოვახსენებ და ამით მოვწყვეტ ყოველს ბაასს მათთან.

„დროებაში“ უ. ნიკოლაძემ თავის აზრი წარმოთქვა. მე ჩემი აზრი მქონდა. მე ჩემი აზრის დამარღვეველი არავისგან არა გამიგონია რა. თუ თქვენ სხვის რისმე მიღებინება გინდოდათ, კარგად უნდა აგეწონათ და თავის დროს თადარიგი გექმნათ. «ჩვენ ისე წრფელად ვმოქმედებდით, არ ვფიქრობდით ბ. ღოღობერიძე თავის პროეკტის გაყვანას ეცდებოდაო!“ თუ ნამდვილ ამას ფიქრობდით, ეს სიწრფელე კი არ არის, ამას სხვა სახელი ჰქვია. მე თქვენთან არავითარი კავშირი და შეკრულება არ მქონია თვინიერ მისა, რომ ამბავს გატყობინებდი, ჩემს იმედს და შიშს, ჩემს მოქმედებას ვიამბობდი, როგორც ყოველს პირს, ვისგანაც შემწეობას მოველოდი. თქვენ რაღაცა ანგარიში შეგშლიათ და სხვას უნდა აზღვევინოთ. თქვენ რომ ყმაწვილობა მოგვიდეს, მე უთუოდ ცრუ და ზნეობით დაცემული კაცი უნდა ვიყო, ჩემს პატიოსნებას უნდა შეეხოთ და არც თავისი პატიოსნება დაზოგოთ. ცილის-წამება კიდევ აიხსნება, კაცი როგორმე თავს გაიმართლებს; მაგრამ თქვენ ცილის წამებაზედ უარესი საშვალობაც არ დაზოგეთ. „ამ ნაირი წაყვანა სრულიად შეეფერება ღოღობერიძის წასრულ მოქმედებასო.“ ამ სიტყვას თქვენს პირში აქვს ის აზრი, რომელსაც ჰქვია ი ნ ს ი ნ უ ა ც ი ა, და რომელიც ყოველს პატიოსანს საზოგადოებაში საკიცხავად მიაჩნიათ.

ბანკის საქმეში, როგორც მოგახსენეთ, მე ჩემს გზაზედ მივდიოდი და ახლაც ის გზა მიმაჩნია უმჯობესად. თუ სხვა გზა აერჩიათ, მანამ ის ჩემს უმთავრესს დარწმუნებას არ შეეხებოდა, მეც იმ გზაზედ წავიდოდი. თუ საზოგადოების გადაწყვეტილება შეეხებოდა ჩემს უმთავრესს აზრებს, მე ჩემსას ვიტყოდი და მერმე საქმეში მონაწილეობისგან უკუვდგებოდი. რადგან ჩემი რჩევა მიიღეს, ჩემი პროეკტი გავიდა, მე პასუხისმგებელი ვარ მის კარგისობაზედ. მე იმედი მაქვს, საზოგადო კრება მიიღებს დაფასების წესების ინსტრუკციაში იმ გვარს რასმე, რასაც ამ საგანზედ თავის დროს მე კრებას მოვახსენებ. მაშინ, თუ ჩვენს ბანკს ღმერთმა ვარგისი მმართველებიც მიცა, მისი მოვალი საიმედოა. ამ დარწმუნებით მოგახსენებთ, რომ ჩვენი ბანკი ჯერ კარგს „კალაპოტში“ არის ჩასმული. თუ რამე შეგიძლიათ, საქმე წინ გაქვს. მე ამას მოგახსენებთ, რაც კრებაში ვთქვი: ჩვენის ბანკისგან მე ჩემთვის პირადად არას მოველი, არა მინდა რა და ვერც რასამე იმისთანის მოცემას შეიძლებს ის, რომ დამეხარბოს. თუ საჭირო არაფერში ვიქმნები, ეს მხოლოდ ჩემი თავისუფლება იქმნება.

ძარგად ასწონეთ, რომ ჩვენებურს აღძრულს და დაუჭკვიანებულს გონებას, აღშფოთებულს გრძნობას, ნაფთის მოსხმა და ცეცხლის მოდება აღარ სჭირია. პროეკტი არ ვარგა, არ ვარგა! ამის მაგიერად, თუ ყმაწვილობას არ მიჰყევებით, ურჩიეთ, აუხსენით და დაუმტკიცეთ, რომ მთელს ჭუთაისის გუბერნიას დაწყებულის საქმის ერთის სულით და სიჩქარით წინ წაყვანა მართებს. საქმე ცოტათი ცუდად დაგიწყიათ, ჩვენ უფრო კარგად გასწავლიდით, მაგრამ რა გაეწყობა, აწ მაინც ნუ შეცდებით და მაგ ცუდად დაწყებულს გზაზედ გაასწორებთ, დაუჩქარეთ, ნუ გეშინიათ, ჩვენ აქა ვართ თქვა! პროეკტის პირი რომ მიიღოთ, მანამ ის არ დაბეჭდილა, ბანკის კომმისიის დაუკითხავად მაზედ ნურას დასწერთ; ამას მოითხოვს საქმის სარგებლობა. თუ ჩემს გაკიცხვას მოგთხოვს თქვენი პუბლიცისტის ვალი, მე ისე მკიცხეთ, რომ საქმეს არ ავნოთ.

ბანკის კომმისიაში თვისი სანდო კაცები ამოირჩია საზოგადოებამ. ჩემის აზრით კომმისიის მწევრები ყველანი ღირსნი და სასარგებლო პირნი არიან. არ ვიფიქრებ, რომ ვინმე მათგანი ბანკის ხელში ჩაგდებას ჩემობდეს. ნ. ღოღობერიძისა კომმისიაში მონაწილეობა ბანკისათვის სასარგებლოდ მიმაჩნია. ნ. ღოღობერიძე გონიერი და ქვეყნის ერთგული კაცია, ჩემი თანშეზრდილი და გულითადი მეგობარი; ამისთვის უშვერება და ცილის წამება არის უ. ნიკოლაძისაგან თქმა, რომ მე მას სიტყვა მივეცი ნ. ღოღობერიძეს კომმისიაში ადგილი არ ექმნება თქვა. კომმისიის ამორჩევა ჩემს ნებაზედ იყო, თუ მე უნდა მეთქვა საზოგადოებისათვის: არ გაბედოთ თქვენის სანდო კაცის ამორჩევა, უ. ნიკოლაძეს არ მოსწონს მეთქი? უ. კ. და ა. ლორთქიფანიძეების მონაწილეობა კომმისიაში ისე მიამებოდა, როგორც ნ. ღოღობერიძის, და ჩემი ბრალი არ არის, რომ ისინი არ დათანმხდენ. კომმისია ბანკის საქმეში არის მოქმედი და ჩვენის საზოგადოების წარმომადგენელი მთავრობის და ქვეყნის წინ; ამისთვის ის რომ მხოლოთ ყმაწვილი კაცებისგან შეედგინათ, მოვახსენებდი, არ ვარგა მეთქი.

როგორც ნ. ღოღობერიძეზედ, ისე მართალია ყოველი უ. ნიკოლაძის ნაამბობი ჩემს მასთან მიცემულს პირობაზედ. უ. ნიკოლაძის იმდენი პატივი და დარწმუნება არა მაქვს, მასთან რამე შეკრულება ვიქონიო, ეს იციან ყოველმა ჩემმა მეგობრებმა, ეს იციან თვითონ უ. ნიკოლაძემ და მისმა მეგობრებმა.

ბ. ღოღობერიძე.

ბეს. ღოღობერიძის „ტიტინი“

შორსად ამაღლებული ან ნაქები კაცის შეხება და გამოშკარავება მარტო სასარგებლო კი არა, ადვილი საქმეც ყოფილა. დგას ათი და ოცი წლობით „დიდთა ქებით გაბერილი“ კაცი, უსარგებლო და ხან მაენებელ მდგომარეობაში; გაყუჩებით და ფილოსოფური გამოხედულობით უხვევს ის თავს მთელს საზოგადოებას და იქნამდი აწევს, რომ ყველა იმას მართლა რაღაც „ძალათ“ სთელის, ყველა იმას დიდ ჭკუას და გამოცდილებას აწერს, ყველას ის მეცნიერათ მიაჩნია. მაგრამ მისი გავლენის საფუძველი ისე სუსტია, მისი ნამდვილი ღირსება იმოდენათ სუბუქია, რომ ერთი შეხების მეტი არც კი სჭირია კაცს ამ ხანგრძლივათ აშენებული რეპუტაციის შესარყევლათ და დასამხობლათ. ჰკრავს თუ არა კაცი თითს ამისთანა სილაზე გაშენებულ „ძეგლს“, მთელი შენობა ვაი-ვაგლახით ინგრევა, და მტვერის მეტი აღარაფერი რჩება იქ, სადაც უწინ მაგარი და საშვილიშვილო შენობა სჩანდა. რაც უწინ ნათალ ქვათ მიაჩნდა კაცს, რაც ათასი წლის კირს ჰგარდა, რასაც თუჯისა და რკინის სახე ჰქონდა, ის დაფუტფუროებული მიწა გამოდის, რომელიც მცირეოდენ ნიავს გააქვს და გამოაქვს დედა-მიწის ოთხივე კუთხისკენ, თითქო იმის დისამტკიცებლათ, რომ აი რა მტვერი სჩენებია კაცს მაგარ ზღუდეთ და ძეგლათო.

სწორეთ ამ გვარი საქმე ემართება უფ. ბ. ღოღობერიძეს. თუმც ჩვენ „მაგარ ძეგლათ“ ის არასოდეს არ მიგვაჩნდა, მაგრამ გამოვტყდებით, ჩვენს ღღეში ვერ წარმოვიდგენდით, რომ იმას მეტი საქმის მიგნება და სიმტკიცე არ ექნებოდა. მისი გრძელი გოდება ჩვენ გვაკვირვებს და გვაშტერებს, და მისი საბუთების განხილვის შემდეგ ჩვენ გაოცებით ეკითხულობთ, ნუ თუ ამის მეტი საფუძველი არ ჰქონია უფ. ღოღობერიძეს თავის მოქმედების დროს, ნუ თუ მართლა ამ მოსაზრებით უხელმძღვანელებია, ნუ თუ ამ ნაირი უთავბოლო და უსაფუძვლო მოქმედება იმას თვითონ ბაეშვობათ არ მიაჩნია? და ამ კითხვაზე ჩვენ პასუხს ვერ ვპოულობთ.

თუმც მისი „წილა-დობილა“ სრულიადაც არ შეეხება იმ საგნებს, რომელზედაც ჩვენ „იმერეთის ამბებში“ ვსწერდით და ლაპარაკობს მარტო გარეშე გარემოებებზე, მაგრამ ამ ოდისეაშიაც ისეთი ძვირფასი თვლები იპოვება უფ. ბ. ღოღობერიძის უსაფუძვლოებისა, რომ უკეთესი ღმერთმა შეარცხვინოს. ვითომ იმ აზრის დასამტკიცებლათ, რომ მე ყოველთვის მტკიცეც ვიდექი ჩემს პროექტზეო და ნიკოლაძესთან არაფერი პირობის დადება არ შემეძლოო, უფ. ღოღობერიძე მოგვითხრობს თავისი პროექტის უცაბედ დაბადებას:

„მე შევადგინე (გადმოვწერეო, უნდა ეთქვა) უსტავის პროექტი რაოდენისამე მეგობრების რჩევით და შემწეობით. დრო დამეხმარა, ფ ე ბ ე რ ვ ლ ი ს თ ვ ე შ ი (1873) ჩემის სამსახურის საქმეებისთვის გამგზავნეს პეტერბურღს, სადაც მჭონდა შემთხვევა, ჩვენი ბანკის გარემოება და ჩემი პროექტი მ ც ო დ ნ ე ქ ა ც ე ბ ი ს თ ვ ი ს გ ა მ ე ს ი ნ ჯ ვ ი ნ ა *). რაკი მათ მომიწონეს ჩემი ნარჩევი, მე მ ტ კ ი ც ე თ დ ა გ ა ბ ე დ ვ ი თ დ ა ვ ა დ ე ქ ი ჩ ე მ ს პ რ ო ე ქ ტ ს.“

„მე მტკიცეთ და გაბედვით დავადექი ხემს პროექტს თებერვალშიო,“ ამბობს ხომ უფ. ბ. ღოღობერიძე? მაგრამ იგივე უფ. ბ. ღოღობერიძე იმავე სტატიაში ამბობს მეორე ადგილას, რომ ახალს ნაამაღლობევს (მაისში), როცა ნიკოლაძე მობრძანდაო, მე თუმც ამ მძიმე საქმეზე ვფიქრობდი, მაგრამ ბევრჯერ გასჯა მიბოძიკებიაო, უსაფუძვლო აზრები მიელიდენ ტვინშიო, მანამ საუკეთესო გზას გამოვარჩევდი და უკანასკნელ საფუძვლიანს აზრზე დავადგებოდიო. ერთხელ ამბობს „ჩემი პროექტის იმედი მქონდა და არა უხეიროთ მიმაჩნდა ის, როგორც ცილს მწამებს უფ. ნიკოლაძეო,“ და მეორე-ჯერ: — „ჩემთვის სულ ერთი იყო, ჩემს პროექტს მიიღებდენ თუ სხვისასო.“ სხვაგან მოგვითხრობს კიდევ, რომ მაისის დამდეგს „პროექტი გასწორებულ ი ს. ღოღობერიძეს დაუტოვეო,“ და შემდეგ: „სამს იენისს ნ. ღოღობერიძეს გაუგზავნე ჩემის პროექტის უკანასკნელი რედაქციაო.“ ღღეს ბეჭდავს პროექტი შ ე ვ ა დ გ ი ნ ე ო“ და გუშინ ამბობდა „პროექტი გ ა დ მ ო ვ წ ე რ ე ო“.

ეს ყველაფერი წერილმანი უსაფუძვლოებაა, იმათზე ლაპარაკიც არ ღირს, თუ არა იმისთვის, რომ ვაჩვენოთ მკითხველს, რა სიმტკიცით და სიბეჯითით მოქმედება სჩვევია უფ. ღოღობერიძისთანა ბრძენ კაცებს. მხლა ჩვენ მეორე მხარეს შეუდგეთ, აგრეთვე წერილმანს, მაგრამ რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორი გზების ამორჩევა სჩვევიათ იმავე ბრძენებს.

უფ. ბ. ღოღობერიძეს ჯიბეში უძევს „შედგენილი“ პროექტი „მცოდნე“ კაცებისგან მოწონებული, რომელზედაც ის ისეთნაირათ „მტკიცეთ და გაბედვით ადგია“, რომ თვიდამვე ქუთაისელ მოთავეებს ეუბნება: „თუ სხვა საფუძველზედ (საფუძველზედ, და არა საფუძვლებზეო) გაკეთდა ბანკი, მე დარწმუნებული ვარ, რომ ის მაშან კარგათ

*) სანამ უფ. ღოღობერიძე ამ მცოდნე პირებს არ დაგვისახელებს, ჩვენ ამ სიტყვებს საზოგადოების თვალის ახვევათ ჩავთვლით. და თუ უფ. ღოღობერიძემ ამაზე წაგვიყრუა, ეს იმის დამტკიცება იქნება, რომ იმას არც ერთ ნამდვილათ მცოდნე და მისანდობელ, გამოჩენილ კაცთან ამ საქმეზე არ მოულაპარაკნია.

ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲛᲔᲤᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲚᲐᲗᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲤᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲔᲤᲔ. ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘ ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲛᲔᲤᲔ.

ჯონ ჩვენი მიწა გარეშე პირებს არ ჩაუარ-
დეს ხელშიო, გალატაკებული არ დარჩეს ჩვე-
ნი ქვეყნის კაციო, პროლეტარიებათ არა
გადვიქცეთ სხვისი ფულების გამოისობითო,
რითი და როგორი საშუალებით აპირებს
უფ. ბ. ღოღობერიძის პროექტი ამ მომავ-
ლის თავიდამ აცილებას?—თუ არ შემოი-
ტანა მეპატრონემ დროზე ფული, გაიყიდე-
ბა მისი მამული, და ის იქნება და ისო. ვინ
არ იცის, რომ ეს შემოტანა გაძნელდება
ჩვენში? რითი შველის ამ საქმეში „საახნაუ-
რო ბანკი“ ჩვენს აზნაურობას, ჩვენს საზო-
გაედობას და ხალხს? რა საშუალებებს ძებ-
ნის, როგორ წესს აარსებს ისეთს, რომ ჩვე-
ნი ქვეყანა ურიებისა და სხვ. ხელში არ ჩა-
ვარდეს, ამ ოცი-ორმოცდა ათი წლის შემ-
დეგ? არაფრით. სრულიად არაფრით. ერთი
სიტყვა არაა ამაზე უფ. ბ. ღოღობერიძის
პროექტში, ამიტომ რომ არც ხერსონის,
არც ხარკოვის ბანკებს არც ეს საჭიროება
ჰქონიათ, არც ეს ღონის-ძიებები უხმარიათ.

აქედამ სჩანს, რომ უფ. ბ. ღოღობერი-
ძის პროექტით დაარსებული ბანკი სწორეთ
იმისთანა ბანკათ გამოდგება, რომლის დაარ-
სების ეშინია ჩვენში ყველას, რომლის და-
არსება ქვეყანას დაღუპავს, ამიტომ რომ
ეხლა აზნაურობას ვალს ააღებინებს, და შემ-
დეგ—მამულებს გაუყიდის, როცა მყიდველი
გარეშე კაცის მეტი არავინ იქნება.

და თქვენ ბრძანებთ, რომ როცა ჩვენ
ქვეყანას თქვენმა უმეცრებამ ეს მომავალი
დაუმზადა, როცა ჩვენ საზოგადოებას, თქვე-
ნი სულწასულობით და ჰაჩარებით, ამისთა-
ნა საშიში, ყელის გამომჭრელი დანა მის-
ცემია ხელში, ხმას ნუ ამოიღებთო, ნურა-
ფერს იტყვითო, აცალეთ, ჯერ ბანკი დამტ-
კიცდეს და მერე უქიმეთო, ჯერ ყელი
გამოიჭრას და მერმე წამალი დაადევითო?
როცა ამისთანა გასაჭირია, თქვენ კიდევ
თქვენი თავი გახსოვს, თქვენი თავმოყვარე-
ობა გეზოგებათ, თქვენი კერძოობითი სა-
ხელი გახსოვთ!—ღმერთო, რას შეუქმნია
ამისთანა კაცები, რა გარემოებებს დაუხახინ-
ჯებია ამოდენათ კაცის გული და გონება!

და ამისთანა გასაჭირი რომ კარზე გვად-
გია, ამისთანა საშინელ და ძველ მომავალზე
რომ უნდა ვზრუნავდეთ, გამოდის უფ. ბ.
ღოღობერიძე და თავის ან ჩვენ პიროვნო-
ბაზე ლაპარაკობს! არც ესაა გასაკვირველი.
მაგისთანა ვითომ-ბრძენები არ ბრძანდებო-
დენ, ვიზანტიას რომ მაჰმედ მეორე იღებდა,
როცა ყოველ ხვირიან კაცს ქალაქის დაც-
ვაზე უნდა ეზრუნა და ეშრომა, გამოდიო-
დენ და მაედანზე ბრძნულათ ბაასობდენ:
საიდამ სწარმოებს გონების სინთლეო! რა-
ქნათ, ამაზედაც ვიბაასოთ.

როცა ჩვენ დავსწერეთ, რომ უფ. ბეს.
ღოღობერიძის წარსულს საკმაოთ უნდა ეჩ-
ვენებია ჩვენთვის, რომ სწორეთ ამ საქცი-
ელს დაადგებოდა ის და ჩვენ მისი „ოინო-
ბა“ არ უნდა გვაკვირვებდეს-თქო, ჩვენ მხე-
დველობაში გვქონდა ის საქციელი, რომელიც
დაიფასა პირუთნეველმა მწერლობამ, და
რომლის გულისათვის უფ. ბ. ღოღობერიძეს
„ჩატეხილი ხიდი“ და ბევრი სხვა ამისთანა
ტიტულები მიენიჭა. ამას ინსინუაცია
კი არა, პირდაპირი გამტყუნება ჰქვია,
და მიკვირს, დღეს რათ მოდის ამაზე გული
უფ. ღოღობერიძეს, როცა ეს საქმე დიდი
ხანია გადაწყვეტილი და არხივში ჩადებუ-
ლია? ბევრ სცოდნია მაგ დალოცვილს თა-
ვის გამოდება!

მაგრამ ეს ახალი ცილის-წამებაა ბ. ღო-
ღობერიძის თავის საკუთარ თავზე. იმას
უნდა, რომ გვათქმევინოს „ინსინუაცია რა-
არის არ გცოდნიაო,“ და მერმე დაგვიმტკი-
ცოს—კი ვიცით. არა, ამას ჩვენ არასო-
დეს არ ვიფიქრებთ, რომ ღოღობერიძემ
კარგათ მტკიცეთ და საფუძვლიანათ არ იცო-
დეს, ინსინუაცია რა არის. მაგრამ ბევრ-
მა ჩვენმა მკითხველმა არ იცის ამ სიტყვის
მნიშვნელობა, და ამიტომ ვეხსნით, რომ
გავაგებინოთ,—ღოღობერიძე ნიკოლაძეს რა
ბრალს ადებს, ინსინუაცია გიხმარიაო რომ
ამბობს. ინსინუაცია იმას ჰქვია, კაცი პირ-
დაპირ თავის აზრს რომ არ გამოთქვამს
სხვის წინააღმდეგათ, მაგრამ ისე კი წაიბუტ-
ბუტებს, ჩაუჩურჩულებს ვისთანაც საჭი-
როა, რომ კვანტი მოედოს და საქმე წაუხ-
დეს. პირდაპირ საქვეყნოთ რომ ვერ ეტ-
ყვის კაცი ვისმე—აი ეს ცუდკაცობა გიქნია,
ეს ოინი ჩაგიდენია, ცუდი კაცი ყოფილ-
ხარო, და ჩუმათ, ნელნელა მიძერება
სხვა და სხვა გარეშე პირთან და ხმა დაბლა
ეტყვის: იცით, ამა და ამ კაცს ეს განძრახვა
აქვსო, ეს უნდაო, ასე თქვაო, ისე მოიქ-
ცაო,—ინსინუაცია ამას ჰქვია. ინსინუაცია
ხანდის ხან დანოსსაც ნიშნავს, და საზოგა-
დოთ კი იმ კაცებს სჩეევია, ვინც იეზუი-
ტურ საქციელს ადგია, ვინც დიდკაცების
პერედნიაში დაძერება და გზას იკვალავს...—
აი ამას აბრალებს ღოღობერიძე ნიკოლა-
ძეს. და ჩვენში ხომ ყველამ იცის, რომ
სწორეთ ამ საზიზღარ საქციელსაა დაჩვეუ-
ლი ნიკოლაძე. სწორეთ ასე უშვერათ იქ-
ცევა, ასე იეზუიტურათ მოქმედებს, მაშინ
როდესაც ღოღობერიძე ყველას პირში ეუ-
ბნება თავის სათქმელს, ყოველთვის პირდა-
პირ მოქმედებს და დიდისკდა პატარის მო-
ურიდებლათ თავის პატიოსან გზას ადგია!

უ. ბეს. ღოღობერიძე ეხლა ბრძანებს—
თქვენთან არაფერი კავშირი არ მქონიაო
და ნიკოლაძის პატივისცემა არა მაქვსო
(დავიწყებია კი დაეწერა, არც მქონიაო).
ალბათ ეს მართალია, და უეჭველია, რომ
ნიკოლაძეს ტყუილი მოუგონია. იმ საწ-
ყალს კავშირათ ის სჩვენებია, „თქვენს გზას
დავადგებიო,“ „ამადა ამ საქმეში რას მეტყვი,
როგორ მოვიქცეო,“ „წავიდეო,“ „რა უთ-
ხრაო?“ ან „საჭიროა „დროების“ შემდეგ
ნომერში დაბეჭდო ერთი კარგი ცხარე
სტატიაო“. (უკაცრავათ, მაგრამ მაშინ
„დროება“ კარგი იყო, მაშინ იმის სიტყვას
გაელენა ჰქონდა, ეხლა კი—ჭი!) „ნ. ღო-
ღობერიძეს, ხომ იცი, მე არაფერში ვეთან-
ხმები, ჩვენ სხვა და სხვა გზით დავთიეარ-
თო“. (ეს სიტყვები ჩემსა მითხრა უფ. ღო-
ღობერიძემ, თ. ნ. ჩიჯავაძის იქ დას-
წრებით) და სხ, და სხ. ნიკოლაძეს მოჩვენე-
ბია ეს ყრელაფერი. და რასაკვირველია შემც-
დარა, „ყმაწვილობა მოსვლია.“

მიეანებოთ თავი ამ წვრილმან შენიშვ-
ნებს, იმათზე ლაპარაკიც არა ღირს, და გადა-
ვიდეთ უფ. ბ. ღოღობერიძის საქციელის
დაფასებისკენ. მცირე გონების კაცი მთელ
თავის სიცოცხლეს იმ შთაბეჭდილებას ვერ
ივიწყებს, რომელსაც ის ერთხელ როდესმე
მეტის მეტათ შეუფუცხუნებია. როცა უფ.
ღოღობერიძე რუსეთში იყო, იმას იქ იმის
მაგალითები ჰქონდა თვალის წინ, რომ
ახალგაზდობას და შემძლე პირებს შუა
დიდი განხეთქილებაა. მასაქეთ იმას მუდამ
ეს აზრი თავიდამ არ ამოდის. ის ნიადაგ
იმას სცდილობს, რომ დიდ-კაცობას თავი
ისე დაანახოს ახალგაზდა არ გეგონოთო.
მაგრამ ამასთანავე იმას არც ახალგაზდობის
დავიწყება უნდა, არის ამ ორს გასაჭირს შუა
გამწარებულათ გაბმული. ყოველ საქმეს,
რაგინდ უბრალო და უმანკო იყოს ეს საქმე,
ის იმ თვალით უყურებს, ეაი თუ ვინმემ
იფიქროს, ეს ახალგაზდობის საქმეაო. აი
ამ უსაფუძვლო კანკალში ეხედავთ ჩვენ უფ
ბ. ღოღობერიძის მოქმედების შეცდომას,
უსაფუძვლოებას და ენებას. დღეს ჩვენ იმ
მდგომარეობაში როდი ვართ, რომ ამ გვა-
რათ ვიქცეოდეთ. დღეს ახალგაზდა და მო-
ხუცი ერთია, ერთ ტაფაზე იწვება, ერთნაი-
რი რეპუტაციით სარგებლობს... და იმისთა-
ნა პრაქტიკულ საქმიან საქმეში, როგორი
ბანკის საქმეა, ამისთანა ოცნებების დანახვა
მარტო ბ. ღოღობერიძის შეშინებულ თვალს
შეეძლო.

კიდევ ერთი შენიშვნა, და გათავდა ჩვე-
ნი გრძელი ბაასი:

მწერლობა ხომ მარტო ჩვენში არ არსე-
ობს და ჭკვიანი, გონიერი და პატიოსანი
მოქმედები მარტო უ. ბ. ღოღობერიძით
ხომ არ დალეულან? თუ რომელიმე მწერ-
ლობაში, რომელსამე ქვეყანაში ვინმე იმი-
სთანა მწერალს ან ორატორს გვიჩვენებს,
რომელიც საზოგადო საქმის წაყვანაში იმი-
სთანა ენას ხმარობდეს, როგორიც ბ. ღო-
ღობერიძეს უხმარია, იმისთანა კილოთი სწე-
რდეს, იმნაირათ ლაპარაკობდეს, სწორეთ
ლაფ-დასასხმელები ეიქნებით ჩვენ. მის გაუ-
გონია მწერლობაში მოახლური კილო, პირფე-
რული სიტყვები, პირში მოქალაჩუნება? მწე-
რლობას ყოველგან და ყოველთვის პირდა-
პირი, პირმოუფერებელი, გულწრფელი ენა
სჩვევია, არა თუ საზოგადო საქმეების წაყ-
ვანაში და განხილვაში, უბრალო პოლე-
მიკაში და სიტყვიერებაშიაც. რას ნიშნავს,
მაშ, რომ უფ. ღოღობერიძე თავის პასუხში
სულ სხვანაირ ენას ხმაროს? რათ დაუეწ-
ყნია იმას, რომ მტერს თუ მოეფერება პირ-
ში კაცი, თორემ მოყვარესთან, კეთილის
მყოფელთან იმას გულწრფელი ენა სჭირია?
რათ შეჰყავს იმისთანა მკითხველის აზრში,
რომელიც უფ. ბ. ღოღობერიძეს არ იც-
ნობს, ის ეჭვი, ვითომ უ. ბ. ღოღობერიძე
ჩვენი საზოგადოების ერთგული მსახური არ
იყოს, რადგანაც ის იმის წინ შემძრომი მსა-
ხურის ენას ხმაროსო? რათ? რისთვის? ამი-
ტომ, რომ უფ. ბ. ღოღობერიძე სუსტი მო-
აზრების პატრონი კაცია.

ჩვენ ფავათაევთ უფ. ბ. ღოღობერიძეზე
ლაპარაკი. ბანკზე კი როცა საჭირო იქნება,
შემთხვევა გვექნება მოლაპარაკებისა. ეხლა
გასინჯოს მკითხველმა და გადასწყვიტოს,
გვქონდა ჩვენ თუ არა სიმართლე და მოვა-
ლეობა; იმ ნაირათ მოვჰყრობოდით უფ. ღო-
ღობერიძეს, როგორც მოვეპყარით.

რაც შეეხება უფ. ბ. ღოღობერიძეს, გა-
ნისვენოს ეხლა იმან მარტო იმ ერთი გა-
მარჯვების გვირგვინით, რომელიც კენჭის
ყრამ და „ოინობამ“ იმას მიანიჭა. დატკბეს
იმ აზრით, რომ კრებამ „სიამოვნებით მო-
მისმინაო“, „ჩემი პროექტი მიიღოო“, „ბან-
კი დაარსდაო“ და სხვ. მაგრამ ვარწმუნებთ,
რომ ათი ათასჯერ სჯობდა მისთვის, არ გა-
ემარჯვა ამ საშუალებით: ზოგიერთი გამარ-
ჯვება დამარცხებაზე უფრო სასირცხოდასათა-
კილოა. ამ ნაირი გამარჯვების გვირგვინი შუბ-
ლზე დიდხანს როდი მაგრდება, მაგრამ სანი-
ადაგოთ ამოუხოცელ დაღს კი ასვამს.

ნ. სკანდელი.

იმე!!!

სხვისი ქურქის წამოსხმა ან სხვის ტყავში
გამოხვევა და ისე გამოსვლა არ არის საკა-
დრისი მოსაპარეზე გვამის: ეს, რომ სთქვას
კაცმა, ვერ ნიშნავს გულადობას! არ არის
მოსაწონი, მაგრამ გაგვიგონია კი, რომ ამ
გვარი ანბავი მომხდარიყოს..აგრეთვე, არა თუ
მარტო გაგვიგონია, კიდევაც გვინახავს, რომ
კაცს შტვირის გუდა გაებეროს, ამოედოს
იღლიაში, მერმე მოეჭერებიოს კლავი და
სულ პიიიპუ! პი!პუ! პი! პუუუ! ეძახებიოს!..და
ამ გაუტანელს წუთის სოფელში რასარ გაიგო-
ნებს და რას არ ნახავს კაცი?!.. საკვირველებით
აღვსილს ამ ჩვენს დროში აღარა არის რა
გასაოცარი! სრული მოსალოდებელია, რომ
ერთს საღამოს ბატონმა დაიწყოს თვისის
ყიყინით „მრავალ-ჟამიერი, ცხვარმა მაღალი
ბანი მობლაველოს, კამბეჩმა ბანი დააბღუე-
ლოს და თუ ვინმემ არ მოუწოწინათ მათ ეს
გალობა, მგალობლებს ახალმოდური პასუხი
მზათ ექნესთ: თუ შენ უკეთესი გალობა
იცოდი, გაჩუმებული რათ იყავიო“ და სხვ...
ჰო, ღმერთმანი, რომ იფიქროს კაცმა, ისი-
ნი რომ კანდელაკები არიან, ამ გვარი პას-უ-
ხიც კარგი მოხერხება იქმნება.

ამ აზრზედ დაგვაყენა ჩვენ იაკინთე უე-
ფიანის სტატიამ ბანკის შესახებ „ჩამრალ-
ჟამიერებულმა!... დაწყებით კარგათ დაუწყია.
ერთის სიტყვით, პირველის მუხლის თორ-
მეტს პწკარში სრულს ჰეშმარიტებას მოგვი-
თხრობს თავის შესახებ; უფრო მეტის სინი-
დისით მოძღვარსაც ეელარ ეტყვის კაცი აღ-
სარებას! და უსჯულო უნდა იყოს კაცი,
რომ არ ეთანხმოს და წინააღმდეგობა დაუ-
წყოს! არა, ასე ესთქვათ რომ, კი სცოდნია
თავის თავის ანბავი იმ კურთხეულს, მაგრამ
სხვებს რომ ეხება და სჯის, იქ კი, თუ უკა-
ცრავად არ ვახლავართ, მოსჩვენებია... სწო-
რად ვერ დაუნახავს... ცუდათ გადმოუხედია
ზედა ეტაჟიდამ!... ასე ესთქვათ, მცირე ოდ-
ნათ საბერელები ვერ გამოდგომია, რომ
უნდოდა ისე, რადგანაც ძველი ტყავის ყო-
ფილან და ქშუტუნი დაუწყიათ!..

აბა ენახოთ: უ. უეფიანი სხვათა შორის
ღალადებს, რომ აზნაურობისაგან კამისიის
წევრებათ ამორჩეულმა ოც და ოთხმა წარ-
ჩინებულმა პირმა, რვა წლის განმავლობაში
რომ თეითონ ვერა გაარიგა რა, ერთს უცხო
პირს რვაასს თუმანს აძლევდა ბანკის უსტა-
ვის შედგენაში, მაგრამ აკ. წერეთელი და
ნ. სკანდელი რისხვით და დაცინვით სძრა-
ხვიდენ იმ ოც და ოთხს პირს და არც უს-
ტავი მოსწონდათო!.. დიახ, მართალი ბრძანე-
ბაა, მაგრამ რატომ ისიც აღარ გვიბძანა, რომ
იმ დროს ბევრი მისთანა პირებიც გამოჩნ-
დნენ, რომლებიც მაშინ ძალიან ამტყუნებ-
დენ აკ. წერეთელსა და ნ. სკანდელს, კა-
რის-კარ დადიოდენ და სძრახვიდენ, რომ ეს
საქმე ძალიან კარგი საქმე არის და „დრო-
ების“ თანამშრომლები უსაფუძვლოთ გვი-
პირებენ ხელის შეშლასო? მეგებოუფალს უე-
ფიანსაც ახსოვდეს ის პირები და თუ დავიწ-
ყებია, ნახოს, ეგებო საბერელებზედაც ეწე-
როს, ვინ იცის?...თუ ის კაცები, შესახებ
იმ პირველის პროექტისა, მაშინ მტყუანი
იყვნენ, დღეს, როდესაც მეორე პროექტი
გამოჩნდა, რაღათ არიან მართალნი? მაგრამ
მაშინ მგონია ზენა ქარი უბერავდა და ახლა
კი ქვენა!... ბანა?... და თუ ასეა, მაშ სა-
გულისხმოა, რომ შემდეგშიაც, რომ მესამე
პროექტი მოებერა თქვენდა სასურველად რო-
მელიმე ქარს, მაგალითად, გინდ ზღვის, ბო-
რიოქარს, მაშინ ამ ეხლანდელი პროექტის
უვარგისობაზედაც დაგვეთანხმებოდით და იმ
მესამე პროექტს დაუწყებდით ქებას? ბანა?
მართალია, ნათქვამია: მექოთნეს საითკენაც
უნდა, იქითკენ მოაბამს ქოთანს ყურსო
მაგრამ საბერელებს კი ამ შემთხვევაში უზო-
მოთ დიდი ყურები მოუბამსთ....

უ. უეფიანი გვიქებს უ. ბ. ღოღობერიძის
(არ ვიცი, რათ ეძახის ღოღობერიძეს და არა
ღოღაბერიძეს, მაშინ ოდესაც მეორე უფრო
სწორია) პროექტს და გვიწერს, თუ რა გვა-
რად წარუდგინა ჭუთაისის ღუბერნიის აზნა-
ურობას მისი პროექტი და ან აზნაურობამ
რა სიხარულით მიიღო. ამას ისეთის დაწვ-
ლილებით და გულდაგულ გვიწერს, თვით-
ქო თავის თვალით ენახოს ეს ანბავი და
თავის ყურით გაეგონოს, რაც მაშინ ანბები
იყო. მაგრამ იმ დროს უ. უეფიანი ტფილი-
სში ბრძანდებოდა, და აქ კრებაში არავის
უნახავს და მაშა სადამე ეტყობა, ძალიან გა-
ხშირებული საბერელების ქშუტუნი ყოფილა
კორტოხს იქით!.. და თუ ამის უარს იტყვის
უ. უეფიანი, მაშინ ეტყობა, რომ უჩინ-მაჩინის
ქუდი ხურვია თავზედ და ჩვენც მიტომ ვერ
შეგვინიშნავს!..

... საზოგადოთ ბევრს ახურავს ჩვენში
უჩინ-მაჩინის ქუდი და „დროებაც“, მისთვის
ცხარობს, რომ უნდა იმ პირებს ის ქუდი
მოხადოს და ისე წარუდგინოს მომავალს
საზოგადოებას და თუ მოხდა აღარ მოხერ-
ხდა, მისთანა ყარაულები მაინც დააყენოს იმ
ჩვენს ბანკს, რომ უჩინ-მაჩინიანებიც დაინა-
ხონ და ფრთხილათ იყონ, თორემ ადვილათ
შეიძლება, რომ იმათმა ჩუმათ, უხილავათ შე-
სვლა-გამოსვლამ, იმათმა მალულობამ იმ
ბანკს, რომელსაც ოც და ორმა პირმა რვა
წელიწადს ვერ მოუხერხა დაბოლოება, ერთ
წელიწადს მოუღონ ბოლო და ამ დაჩქარე-
ბულმა წარმატებამ უცბათ მოულოდნელათა
არ გვიხამოს!... არ შეიძლება ამაზედ არ ვი-
ლაპარაკოთ და მიკვირს, რათ ასე ცხარობენ
ზოგიერთები დაგეტუქსაენ, ხმას, ნუ იღებთო?
ბატონთ-ყმობა დიდი ხანია გადავარდა და
ტვინის ბატონობა არც ადრე ყოფილა, რომ
ახლა ვინმე ვიბატონოთ და ჩვენ ჩვენი ჰაზ-
რის წარმოთქმა ველარ გაებედოთ!... დროც
წინააღმდეგია ამ გვარის ბატონობის. აი
მაგალითად: ამას წინათ ბატონები მობძან-
დებოდენ შარა გზაზედ, მიადგენ ერთს ეკლ-
ნარს, სადაც ეკლისა და ჭინჭრის მეტი არა
იყო რა, მაგრამ მაინც და მაინც დაიჯინეს,
თუ აქ ვარდნარია და ბაწბა თესიაო: წინა-
აღმდეგი აღარავის გააბედვიეს. ბოლოს, ზო-
გიერთებს რომ მობეზრდათ თავი, ჰკრეს ხე-
ლი ბატონებს და გადუძახეს იმ კუთხისკენ;
მაგრამ მისთანა თქვენს მტერს, ისინი ჭინჭ-
რით დაიშუშხენ... შექნეს ყვირილი: „მო-
ღალატეებო, ეს რა გვიყავით? რათ დაგვშუშ-
ხეთ და დაგვქაცვრეთო“.. რა ვიცოდით,
ბატონებო, ჩვენ თქვენი ბრძანება დავიჯე-
რეთო, მოახსენეს ზოგიერთებმა, ბანბა გვე-
გონა და მისთვის ჩაგაკოტრიალეთ შიგ, რომ
ლბილათ მოგესვენებიათ: ჩვენის აზრით
თქვენი სიამოვნება და სამსახური გვინდო-
დაო, მაგრამ დალახვროს ღმერთმან, დრომ
გვიმტყუნაო!... ამ მაგალითის შემდეგ, მიკ-
ვირს, ზოგიერთები როგორღა ნდომულობ-
ენ ბატონებს? მაგრამ ეტყობათ, რომ ერ-
თი მაგალითი ცოტა ყოფილა

ბატონის საბერელები სწორეთ ამ გვა-
რად არიან ჩვენზედ გაბერილები!... უ. უე-

ფიანი, როგორცა სჩანს, აღტაცებაში მოჰყავს უ. ბ. ლოლობერიძის პროექტს, რომელსაც ის თვითქმის სასწაულთ-მოქმედათ რაცხავს და მისთვის ჩვენც გვიწყრება, წინააღმდეგს როგორ ჰბედავთო!... მაგრამ რა ვქნათ!...ვერ ავიხვევთ თვალებს და ნურაფერს უკაცრავათ!•.. რიგი და სამართალია, როცა ექილმა მხოლოდ ის ითხოვოს და ის დაამტკიცოს, რასაც მისი მრწმუნებელი თხოულობს და ამტკიცებს, თორემ ნამეტანს თუ გამოუდგა სულ წაახდენს საქმეს. იაკინთე უეფიანს ისე მოუვიდა. აი რას ანბობს მისი მრწმუნებელი თვითონ ბ. ლოლობერიძე: მე წარმომიდგენია ჩვენის ბანკის უსტავის პროექტი, რომლისაც უმთავრესი საფუძვლები ამოესწერე ხერხონის ბანკის უსტავიდამ, წელილმანები ხარკოვის ბანკის უსტავიდამ, რომელიც ემზგავსება ყოველს ამგვარ რუსეთის ბანკის უსტაეებს და გარდა ამის რამოდენიმე ადგილიც ამოვწერე ტფილისის ბანკის უსტავიდამო, რომელშიდაც თითქმის ახალი ჩემი არა არის რა, ბევრი შრომა არ დამჭირვებია, ამას მოვანდომე ჩემი მოცლილი ექვსი საღამო, ხუთი მანეთიც გადასაწერი მიეციო!.. აი რას ანბობს ლოლობერიძე, და მისი ექილი უეფიანი კი გვეფიცება, ამ საქმით ბ. ლოლობერიძემ სასწაულთ-მოქმედება გამოიჩინაო!... ეს საქმე სახუმრო საქმე ხომ არ არის, არც მოკლე სტატიებისა და არც შაირების წერა არის, რომ ფიქრი არ ეჭირვებოდესო. ეს საქმე დიდი საფიქრებელი საქმეაო. რაო? რა არის დიდი საფიქრებელი ფილოსოფია? დაწერილის და ნაბეჭდის ამოწერა? ამას უთელის თვის მრწმუნებელს დიდ-შესანიშნავ ღირსებათ, მაგრამ ეს ქება უ. უეფიანს მეტის პატივისცემისა და სიყვარულის გამო მოსელია...ჩჩვილი ყმაწვილი რომ პირველათ ფეხს აიდგამს და პირველს ერთს ბიჯს გადადგამს, მისი გახარებული დედა, ან ძიძა, მაშინვე სიხარულით მთელს ქვეყანას ატყობინებს: „ჩემმა პაწაწკინამ ფეხი აიდგა და ისე შამოიცუნცულა მთელი ეზო, რომ ეზდიე და ვერ მოვეწიეო“. და ეს ოცნება რომ არავინ დაუჯეროს აღტაცებაში მოსულს დედას, გაკაპასდება და აღარავის აღარ დაზოგავს: როგორ თუ თქვენ წინააღმდეგი გაბედეთო. უ. იაკინთე უეფიანს არ მოსწონს ჩვენი დაცინება და თანხმად იმ რაზმისა, რომელსაც საბერველი ხშირად უჭირაეს, დიდ ცოდვათ და ცუდ-კაცობათ გვითვლის ამ სიცილს. მაგრამ იმ დალოცვილს ვერ შეუნიშნავს, რომ ჩვენი სიცილი და სიხარული ცოტა ნაღვლიანია და არა ჰგავს იმ კბილების კრეჭითა და ხარხარით შეზავებულს სიცილს, რომლითაც ზოგიერთები იცინიან, გამარჯვების შემდეგ, როდესაც ისინი გადიან ბანაკათ სხვასა ადგილსა და შემდეგ უსამართლოის იერიშისა უცხოსა ქვეყანასაზედა წოდებულსა ჯიბოვანად, აიღებენ რა დამარცხებულთა უნებურად კონტრიბუციასა და მოახდენენ თვის ჯიბეში უსამართლოდ ტკუციასა, როკვენ და განცხრებიან. არც ჩვენი მწუხარება ჰგავს იმ მწუხარებას, რომლითაც ზოგიერთები ფარისეელობენ: შედიან სალოცავად მუხლ მოყრით, იძახიან კირიალეისონ, მერე გამოდიან აქედამ, მიდიან უფროსებთან, ანუ საჭირო კაცებთან, მუხლს უყრიან ჭყანვით, ღრეჭით, ცრემლით და მათ ფერხთა წინ კოტრიალეისონით.—უ. უეფიანს ვერც ბელატობაზედ მოსელია მოსწრებული ოხუნჯობა: აკ. წერეთლის ბელატობა და ბანკის ბელატობა სულ სხვა და სხვა არის!... ერთი კერძო საქმეა და მეორე კი საზოგადო. აკ. წერეთელი უნდა ბელატი ყოფილა და უნდა ხუჭუჭ-თმიანი ერთია საზოგადოებისათვის, ის მხოლოდ წერეთლის თავის საქმე იქნება საკუთრად, მაგრამ ბანკის გაბელატება კი საზოგადო საქმეა და თუ უ. უეფიანი აკ. წერეთელს მასთანა საზოგადო მნიშვნელობას აძლევს, რომ საზოგადო საჭიროებათ ხდის მის ბელატობასა და უბელატობასა, შემცდარა და არ შეიძლება, რომ საზოგადო მნიშვნელობა ჯერ მის მრწმუნებლებს მოუახლოვოს და მერმე ჩვენც დაგვეკითხოს მივიღებთ თუ არა ვექილათ?...ამას ბძანებს უ. უეფიანი, რომმოკლე სტატიების წერას და შაირების შეთხზვას ფიქრი არ უნდა და თუ შეიძლებოდეს მოიხმაროს საბერველები და დაგვიმტკიცოს ეს ჰაზრი! ეს ჩინებული ჰაზრი რომელს პარლამენტში ჰქონია მიცემული უ. უეფიანს განსახილველათ? ზედა თუ ქვედა პარლამენტში?—სიდამ გამოულია? ზედა პარლამენტში ამისთანა აზრები არ სწყდება!.... ერთს ადგილს უ. უეფიანი გვაბეზღებს ხელოვნურათ აზნაურობას, რომ ნ. სკანდელი და აკ. წერეთელი თქვენა გვიცხვენო! . . და ამით უნდა, რომ შეგვაშინოს და გადაგვათქმევინოს ჩვენი ჰაზრის? მაგრამ უკაცრავათ! დიახ ვკიცხავთ აზნაურობას იმისთვის, რომ მან ისე უფიქრალათ და ერთს წუთში გადასწყვიტა საუკუნო საშვილისშვილო საქმე. დიახ ამას ვამბობდი მე იმ ჩემს სტატიაში, რომელიც თქვენ არ მოგწონებიათ. მე იქ დავსცინოდი ბ. ლოლობერიძის მოქცევას საზოგადოებასთან, საზოგადოების აჩქარებას, ზოგიერთების გულ-ლმობიერებას და ზოგიერთებისაც მაღვალაკობას. აი რას დავსცინოდი იმ სტატიით და არა თვითონ ბანკის უსტავის უვარგისობას. მაგრამ დაწერილსაც გაგება და გულ-წრფელი წაკითხვა უნდა! . . . უ. უეფიანს კი ჰგონებია, რომ უსტავი არ მოსწონთო, ეტყობა, წინათ გრძნობა ჰქონია!—დიახ სწორეთ ბევრი რამ არ მოგვწონს იმ უსტავში, მაგრამ ამაზედ შემდეგში იქნება ლაპარაკი. აქაც ხომ ბატონობა არ იქნება. აქ ის დრო და ის ადგილი ალარ არის, როდესაც და სადაც ხმის ამოღების ნებას არ გვაძლევდენ და ჰყვიროდენ: „ქენჭი! ქენჭი! ქენჭმა გაათაეოს საქმე, იმან გაგვასწოროს, რა დროს ფიქრიაო?!“ აქ მშვიდობიანი და პირუთნეველი კალამია საჭირო და ვისაც ენებოს მოხმარძანდეს სიამოვნებით მივაგებებთ „დროების“, ფურცლებს. მგება ღმერთმან ინებოს და სასარგებლო რამე გვითხრან. მინიცის, ეგება დაიჭიროს თხამ მგელი. მაშინ ჩვენც მზათ ვიქნებით გაესცეთ პასუხი შეძლებისა. დაგვარათ, თორემ ისე როგორ იქნება? დაუჯინია უ. უიფიანს! არა, საჭიროა თუ არა, მაინც მოკლე სტატიებს არ უნდა სწერდეთო უ. ლოლობერიძის საპასუხოდო და მაგ დალოცვილმა როგორ არ იცის, რომ ჩიტს ზარბაზანს არავინ ესვრის!...

აკაკი.

„დროების“ კორრესპონდენცია

ოზურგეთი. 17 ივლისს 1873

აი აგერ ერთი წელიწადი შესრულდება მას აქეთ, რაც უფასო საქალებო შკოლაზე დაიწყეს ლაპარაკი ოზურგეთში. ამ დროის განმავალობაში ლაპარაკი დიდი არის, მაგრამ საქმეს არ მიეცა არა ვითარი საფუძვლიანი დაბოლოება.

ჩვენს საზოგადოებას დღეს, რომ გადახედოს კაცმა, თითქოს ფიქრათაც არ მოსელია, რომ ამ შესანიშნავ და სასარგებლო საქმისათვის ყურადღება მიექცია, მაშინ, როდესაც ამისთანა სასარგებლო საქმეზე ყველაზე უფრო ეკუთვნის ყურადღების მიქცევა, ვინემ სხვა საქმეზე, და ავათ თუ კარგათ დაბოლოება უნდა მიეცათ ამ კეთილი საქმისათვის. ეს გვაჩვენებს ჩვენი საზოგადოების გულ-გრილობას: ვითომ უნდათ და არც უნდათ. ამ საქმეზე თუ ვინმე რამე დასწერა „დროებაში,“ მაშინ საკვირველი სიფხიზლე იციან. წამოცვივიან, ერთ აყალ-მაყალ ლაპარაკს შექმნიან, მოედებიან ღობე ყორეს, თითქმის აღენთებათ გულში სურვილი, ისეთის მოლაპარაკებითა, რომ თეთრს შავში ვეღარ არჩევენ და შავში თეთრსა. მაივლის ძლიერ ცოტა ხანი, დამშვიდდება ცხარე მოლაპარაკება; ყველანი ეს ვითომ თანამგრძნობლები შეუდგებიან თავიანთ დროის გასატარებელ საქმის კეთებას, რომელშიაც თავისი ცხოვრება, ჰაზრი და ტვინი ეკარგვისთ. რა არის ამის მიზეზი? რასაკვირველია ბევრი წვრილმანი გარემოებები. ჩვენ ოზურგეთის საზოგადოებაში თითქმის ყოველთვის ისე ყოფილა და არის,—რაკი დაინახეს, რომ ერთმა თუ ორმა ეს საქმე თავზე მიიღეს, მაშინ ყველა ხელს შეუშვებს, თითქო არავითარი მონაწილეობა ჰქონდეს. აგრეთვე თუ ვინმემ რამე დასწერა ამ საქმეზე „დროებაში“ და თუ კარგია, თვითეული იმათგანი ითვისებს და თავის თავს აწერს ყველა იმ ნამოქმედებს—და თუ რამე საწყენია — ყველა თაყის თავზე იღებს და ამბობს, რომ ჩემზედ წინააღმდეგს ლაპარაკობენო. ეს ყველანი ჩვენ გვაჩვენებს გულ-გრილობას, რომლისა გამო, კარგა თავიდან ბოლომდის, ბოლოდამ თავამდი კი არა სინჯვენ საგანს, არამედ ისე კიდებენ ხელს და სინჯვენ, როგორც უბრალო რასმე; ამის გამო იმათი სჯა-ლაპარაკი ქარის მოტანილსავით ქარს გააქვს. აი მაგალითად ყველა პატარა ქალაქებში დაწესდა ეს უფასო საქალებო შკოლა: ახალციხეში, ხონში, ფოთში, რასაკვირველია ქუთაისში და ევონებ ზუგდიდში, და ეს ოზურგეთი რაღა ქალაქია, ამისთანა საქმის გაკეთება თუ არ შეეძლება. წერილმანი საქმე ყოველთვის წერილმანათ რჩება ყველგან და ჩვენ ოზურგეთში ხომ უფრო მოშეტებულად. ჯერ ჩვენ საზოგადოებაში თუ რამე ლაპარაკი თვით შკოლის შესახებ ყოფილა, მარტო ლიტონი ენით და არა საფუძვლიანათ, ერთჯერ-ორჯერ ორიოდე სიტყვით, გაკვრა გამოკვრით ულაპარაკნიათ.

ჩვენი საზოგადოება რომ ამ შკოლისთვის მართლა ზრუნაედეს, ასე არ იქნებოდა. ამ შკოლას მარტო ლიტონი ენით წაიყვანენ წინა? მარტო პროექტის დაწერა ეყოფა? რატომ სხვა საშვალობებს არ ხმარობენ, რომ საქმე გაკეთდეს? შკოლას შეესაძლო მტკიცე საფუძველი უნდა; რატომ ამ საფუძველს არ დასკვნიან და რატომ ბოლოს არ აძლევენ საქმეს და არ გამოყავთ ახლანდელ საეჭვო და საფიქრებელ მდგომარეობისაგან. ამის მიზეზები უნდა იყვენენ ვინმე მოთავეთაგანი, მაგრამ არ უნდა ენებებიათ. ამას უნდა დაუღალავი, შეუწყვეტელი და სინიდისიანი შრომა და არა ღალატი.

ჩვენი საზოგადოებისათვის რომ მართლა ძვირფასი იყოს უფასო შკოლა და იმისი არსებობა, რასაკვირველია, ამ დრომდის, რამე საფუძვლიანი დასაწყისი ექმნებოდა; მაგრამ ვინ უნდა აღიზარდოს ამ წერილმანი ლაპარაკით?

ორიოდე პირის შემწეობით შკოლა სანახევროთ, თითქო დროებით, გახსნილია, და შიგ ეხლა არის ოცდა ხუთი ქალი, ამათი სწავლა ჯერ ჯეროზით კარგათ მიდის, ასე რომ კითხულობენ კარგათ, სწერენ სტამბის ხელით საკმაოდ კარგა და ანგარიშიც გვარიანათ გაგებული აქვთ. ამასთანავე ისიც უნდა ესთქვა, რომ ეს ყმაწვილები ხალისიანათ დადიან კლასში და მსწავლებელიც, რომელმაც შეძლების დაგვარათ უნდა წაახალისოს ყმაწვალები, ჯერ იმედ დაუკარგავათ და ხალისიანად დადის კლასში.

ი.

სპარსეთის შაჰი პარიჟში

აგერ ათი დღეა, რაც შაჰი პარიჟშია. შრანცუზებმა ისე მიიღეს აღმოსავლეთის მეფე, როგორც ეხლანდელ მათ მდგომარეობას დაშეენდებოდა. ყოველნაირი პატივი მიანიჭეს: არ დაუშურავსთ არც შრომა, არც ხარჯი. მაგრამ იმის შუა, როგორის აღტაცებით შეხვდა მას ინგლისი და რუსეთი, და როგორის თავდაჭერილის პატივით და ღირსებით ეპყრობა შაჰს საფრანგეთი—დიდი განსხვავებაა. აქაც ისეთი აუარებელი ხალხი გროვდება, სადაც კი მიდის ნასრ-ედ-დინი, როგორც ლონდონში, მაგრამ არც ერთი „ბრავო“, არც ერთი ტაში, ენა-კი-რა-ქნას ხტომა და კასკასი! საფრანგეთის მიწაზედ ჯერ კიდევ მტერი აბარგია. პარიჟი სულ ისევ ბანაკსა ჰგავს, ოცდაათი მაზრა სამხედრო მდგომარეობაშია! უველა ესენი არ ავიწყდება პარიჟს. გარდა ამისა, საფრანგეთს არა აქვს ის ორი უმთავრესი მიზეზი, რომლითაც ხეთმძღვანელობდა რუსეთი და ინგლისი თავის სტუმრის მოყვარეობაში,—საჩიროება სპარსეთის კავშირისა აღმოსავლეთში.

უველაფერი, რაც კი გააკვირვებს აღმოსავლეთის კაცს, აჩვენეს ფრანცუზებმა შაჰს; იმას ანახეს შესანიშნავი ძეგლები, მუზეუმები, კონსერვატორიები, სასწავლებლები, ქარხნები, ბიბლიოტეკები: აჩვენეს ოპერა, ბალეტი, ჯარი, პარსალი, თავის გამოჩენილ მადრევანებით, განათლებული პარიჟი, და ვინ იცის, კიდევ რამდენი რა!..

ლონდონში, სადაც პარადი იყო, სპარსეთის ბრძანებელმა თავის ბრილიანტებით შეკაზმულ ცხენზედ შესჯდა და ისე ჩამოიარა ჯარი. აქ ნახევარ მილიონზედ მეტი მაყურებელი შეკრბა და ყველა დიდის ინტერესით უყურებდა, როგორც ბრილიანტით გაჭედილ პატრონს, ისე მის ძვირფასი თვლებით შემკობილ არაბულ ცხენს. იქამდის, ტაშის ცემაც კი გააწყვეს ქალებმა, როცა მათ წინ ალმასის კაც-ცხენმა ჩაირბინა. ძნელი სათქმელია, რამ მოიყვანა ეს საპატიოები აღტაცებაში: ულვაშ-გრძელმა სპარსელმა, თუ მისმა მოელვარე ბრილიანტებმა! მეჭორეები ანბობენ—უკანასკნელმაო. ამ ხმას ცოტაოდენი საფუძველი მაშინ მიეცემა, როცა მივიღებთ სახეში, რომ შაჰის ერთი ხელი ტანისამოსი ოცდა ოთხ (24) მილიონათ ღირს! ცხენის გაწყობილობა კიდევ სხვაა, ჩიბუხი კიდევ სხვა. დასაჯერებელია? ამ უკანასკნელის ფასიც კი ადის თურმე შვიდ მილიონამდის!

ამის შემდეგ მიბრძანეთ ერთი, აბა რა გასაკვირალია, რომ აქაური არისტოკრატები აფართქალებულ იყვენენ გამოუთქმელის მხიარულებით და ტაში დაეკრათ შაჰისათვის? დასძინეთ ამ შემთხვევას ისიც, რომ ქალები, ერთობით გულგრილად ვერ გაუჩერებენ თვალს ძვირფასს თვლებს, და თქვენ გაიგებთ მათ სიამოვნების ნამდვილს მიზეზსა.

მხლა აქაურ გაზეთების ანბავს გეტყვით მონარხიული გაზეთები ზეცაში ფრინაენ, რომ გარეშე ხელმწიფის მოსელამ მოაგონა მათ წასრული დრო.. „შიგარომ“ სპარსულ ენაზედ უძღვნა აღმოსავლეთის სტუმარს მისალმება. „ჩვენ იმასა ვსწუხვართ და ვსტირით, რომ შენს მოსელაზედ—ანბობს „შიგარო“—ვერ შეგხვდა ჩვენი მეფე.“ როცა სპარსეთის ხელმწიფესთან საჩივლელად მივარდება საქმე, ალბათ ვერ არის „ზნეობით წესიერების“ პარტია თაყხელად?

ანბობენ: შაჰის ევროპაში მოგზაურობა იმას მოასწავებს, რომ მას ბევრი ცვლილებები უნდა შეიტანოს თავის საბრძანებელშიო. ალბილი დასაჯერებელია. . . . . მართლა, ან კი რა ბევრი რამ სჭირია სპარსეთის მეფეს, რომ თანამედროების ქება და პატივი შეიძინოს? მან ნახა ევროპიელი სიმდიდრე და ბრწყინვალება; ნახა მშვენიერი ქალაქები, სასახლეები, თეატრები, ზედმიწევნით შეიარაღებული ჯარი, აეროსტატები, ველოსიპედი, (ბარე ათიოდე, კიდევაც გაგზავნა თეირანში) და ბევრი ისეთი რამ, რომელიც კიდევაც რომ შემოიღოს სპარსეთში, სრულიად ვერას ავნებს მის შეუსალელ უფლებას. ამეებს შაჰი, რასაკვირველია, გადიტანს ევროპიდგან.

რამდენიმე ათი საუკუნის უმოძრაობის შემდეგ, სპარსეთი ერთბაშათ ევროპიელ სახელმწიფოს დაემზგავსება გარიდგან: იქაც ისევ ის სასახლის და ადმისნისცრაციის გაწყობილობა, როგორც ევროპაში, ისევ ის უანგარიშო სასიამოვნო დროს გასატარებელი ალაგები შემძლე წოდებისათვის, ისეთი გაწვრთნილი და ლამზი არმია და ვინ იცის იქნება—ერთი სპარსული პარლამენტიც!.. მაშ, რალა გნებავსთ კიდევ? ბანა, ერთი დიდი ნაბიჯი არ იქნება წინ? ჯერ ესეც კმარაო! ბეტყვისთ დარბაისელი ლიბერალი „სიჩქარით სოფელი არავის მოუჭამიაო!“

დ. მიქელაძე.

Дозволено цензурою. Тифлисъ. 27 Іюля, 1873 г. სტ. მელიქიშვილის და ამხ: სტამბა გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი რედაქტორი ს. მესხი